



საქართველოს  
იუსტიციის  
სამინისტრო



human  
dynamics

public sector consulting

პროექტს ახორციელებს  
Hulla & Co. Human Dynamics KG



პროექტს  
აფინანსებს  
ევროკავშირი



unite for children

# განსხვავებები

არასრულწლოვნების და სრულწლოვნების  
მართლმსაჯულებაში





# განსხვავებები

არასრულწლოვნების და სრულწლოვნების  
მართლმსაჯულებაში

მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები.....	3
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და მართლმსაჯულების პროცესი სასამართლოში საქმის განხილვამდე.....	4
სასამართლოში საქმის განხილვა.....	8
ალკვეთის ღონისძიებები.....	8
სასაქელი .....	10
პატიმრობა, თავისუფლების აღკვეთა.....	13



**მართლმსაჯულების პროცესის გობადი წესები**

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი/პროცესში მონაწილე პირი** (მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, პოლიციელი, საზოგადოებრივი ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პატიმრობის შესაბამისი დაწესებულების პერსონალი) - **უნდა იყოს სპეციალიზებული**

მსგავსი დათქმა არ არის

- ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის
- ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
- ბ) სასჯელის დანიშვნისას;
- გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
- დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
- ე) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას

მხოლოდ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას

**ძალისა და სპეციალური საშუალების სახით დასაშვებია** მხოლოდ ფიზიკური ძალისა და ხელბორკილის და შებორკვის სხვა საშუალების გამოყენება,

- ჩამონათვალი ბევრად უფრო ფართოა (ხელბორკილი;
- ბ) დამანყნარებელი პერანგი;
- გ) დამანყნარებელი სკამი;
- დ) დამანყნარებელი სანოლი;
- ე) რეზინის ხელკეტი;
- ვ) ცრემლსადენი გაზი;
- ზ) წინაკის გაზი;
- თ) არალეტალური იარაღი;
- ი) აკუსტიკური საშუალება;
- კ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მონეობილობა;
- ლ) წყალსატყორცნი;
- მ) სასამსახურო ძალის



**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და მართლმსაჯულების პროცესი სასამართლოში საქმის განხილვამდე**

**პირი თავისუფლდება** არასრულწლოვნობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან**, თუ გავიდა:

- ა) **ორი წელი** იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;
- ბ) **სამი წელი** სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- გ) **ხუთი წელი** მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- დ) **თორმეტი წელი** განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

ა) იგივე

ბ) **ექვსი წელი** სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) **ათი წელი** მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

დ) **ოცდახუთი წელი** განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

**მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან**, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

- ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ა) იგივე



ბ) **სამ წელში** სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) **ხუთ წელში** მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) **შვიდ წელში** განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს

სასამართლო უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან **გაათავისუფლოს არასრულწლოვანი**, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა **შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში**

**პირველ რიგში განიხილება არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების შესაძლებლობა და ფასდება**, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას

განრიდების გამოყენების სრულწლოვანებისთვის დაწესებული **მსგავსი შეზღუდვა არ არის**

ბ) **ექვს წელში** სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) **ათ წელში** მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) **თხუთმეც წელში** განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან **არ თავისუფლდება სრულწლოვანი**, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში - **სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს**

მსგავსი დათქმა არ არის

**განრიდება არ გამოიყენება** იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა



**განრიდების ღონისძიებებია:**

- ა) წერილობითი გაფრთხილება (არ არის სრულწლოვნებზე);
- ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის განრიდება -მედიაციის პროგრამა (არ არის სრულწლოვნებზე);
- გ) მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება (იგივეა სრულწლოვნებზე);
- დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა (იგივეა სრულწლოვნებზე);
- ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა (იგივეა სრულწლოვნებზე);
- ვ) მოვალეობის დაკისრება (არ არის სრულწლოვნებზე);
- ზ) მინდობით აღსაზრდელად განთავსება (არ არის სრულწლოვნებზე).

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა და საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება არ გამოიყენება არასრულწლოვნის შემთხვევაში





**განრიდების პროცესში დაუშვებელია** მისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც ინვესტის მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და ძირითადი სამუშაოსაგან

მსგავსი დათქმა არ არის

**გამოძიების დროს არასრულწლოვნის დაკითხვისას მოქმედებს** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი (ახალი) წესი.

**დაკითხვა წარმოებს** საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით

**ინტიმური ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს** სხეულის გაშიშვლებას ან სხეულის შიგნით შემოწმებას, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საფრთხე ემუქრება არასრულწლოვნის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს

სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – გამოძიებლის დადგენილების საფუძველზე.

ასეთ დროს - ტარდება საგამოძიებო ორგანოს საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო, არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში, აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი. თუ მოქმედება სხეულიდან ნივთიერების ამოღებას გულისხმობს, ის ყველა ვარიანტში სამედიცინო დანესებულებაში უნდა ჩატარდეს.

არ არსებობს ასეთი დათქმა.



### სასამართლოში საქმის განხილვა

თუ არასრულწლოვანი პატიმარია, **დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო ის ბრალდებულად შეიძლება იყოს ცნობილი** არა უმეტეს **6** თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის სხვა დანაშაულის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი

**ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს**

დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე **პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა**, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი

თუ არასრულწლოვანი პატიმარია, **მისი პატიმრობის საერთო ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს**

**ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს**

### აღკვეთის ღონისძიებები

**შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ** არასრულწლოვნის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს **ნებისმიერი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში**

**შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ** შეიძლება გამოყენებულ იქნეს *მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით*

არასრულწლოვანს **გირაო შეიძლება დაენიშნოს** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან

მსგავსი დათქმა არ არის



**გირაოს თანხის ოდენობა** განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით და ის შეიძლება დადგინდეს თანხის ნებისმიერი ოდენობით

**გირაოს თანხა** არ შეიძლება იყოს 1 000 ლარზე ნაკლები

ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ **პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია** მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

ა) მსგავსი დათქმა არ არის

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისთვის **სასჯელის სახით გათვალისწინებულია** თავისუფლების აღკვეთა;

ბ) იგივე

ბ) **პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა**, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ან მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა, ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მსგავსი დათქმა არ არის

გ) **მიზანი**, რომელსაც ემსახურება არასრულწლოვნის პატიმრობა, აღემატება არასრულწლოვნის თავისუფლების ინტერესს.



### სასჯელი

არასრულწლოვნისთვის დანიშნული **სასჯელის მიზანია** არასრულწლოვნის რესოციალიზაციარეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება

სასჯელის მიზანია **სამართლიანობის აღდგენა**, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია

#### სასჯელის სახეები

სრულწლოვანებისგან განსხვავებით, სასჯელის სახეებში **არ გვხვდება:** თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა; სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; უვადო თავისუფლების აღკვეთა; გამასწორებელი სამუშაო (სასჯელის ამ სახეს საერთოდ ვაუქმებთ სისხლის კოდექსის პროექტის თანახმად).

-

სასჯელის სახეებში დამატებულია **შინაპატიმრობა** (და ხორციელდება ელექტრონულად)

**ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან

მსგავსი დათქმა არ არის

#### ჯარიმის დანიშნვისას ნახევრდება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები

-



**საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა**  
ინიშნება ორმოციდან სამას საათამდე ვადით

**საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა**  
ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით

**საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა**  
უნდა დაინიშნოს ისე, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს

მსგავსი დათქმა არ არის

**სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის** დანიშნისას, მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასურველია, სამუშაოდ განწესდეს ისეთ ადგილზე, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს

მსგავსი დათქმა არ არის

**თავისუფლების შეზღუდვის** მაქსიმალური ვადაა *სამი წელი*

მსგავსი დათქმა არ არის

*არ ენიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა*

**უვადო თავისუფლების აღკვეთა** შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის

სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ **დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით**, თუ არასრულწლოვანმა, რომელიც არ ყოფილა მსჯავრდებული განზრახი დანაშაულისათვის, ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან **მძიმე დანაშაული**

დანიშნული სასჯელის **პირობითად ჩათვლა დაუშვებელია** თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით **მძიმე** ან განზრახი მძიმე დანაშაული (გამონაკლისია საპროფესო შეთანხმების გაფორმება).



	<p>ნაკლებად მძიმე დანაშაულის პირობითად ჩათვლის შემთხვევაში - მსჯავრდებული წარსულში არ უნდა იყოს ნასამართლელი განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, უნდა აღიარებდეს დანაშაულს ან/და თანამშრომლობეს გამოძიებასთან</p>
<p><b>სასჯელის დანიშვნისას</b> მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს</p>	<p>მსგავსი დათქმა არ არის</p>
<p>მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს <b>კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი</b>, თუ მის მიმართ წარსულში არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და სახეზეა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა</p>	<p>სასამართლოს შეუძლია <b>დანიშნოს კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი</b>, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება</p>



**ვატიმრობა, თავისუფლების აღკვეთა**

არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავსდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში

სრულწლოვანი მსჯავრდებული თავსდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

დაწესებულებაში განთავსება ხდება ასაკობრივი ჯგუფის, დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, აგრეთვე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა მახასიათებლების მიხედვით

არ არის მსგავსი ნორმა გათვალისწინებული

დასაშვებია არასრულწლოვნის თანხმობის გარეშე მკურნალობა

არ არის მსგავსი ნორმა გათვალისწინებული

შესაძლებელია, რომ არასრულწლოვანმა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა იმუშაოს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ

ბრალდებულები/მსჯავრდებულები მუშაობენ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე

არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობებით

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სპორტულ ღონისძიებებში

უნდა არსებობდეს შესაფერისი რეკრეაციული და ფიზიკური აღზრდის პროგრამები

არ არის მსგავსი ნორმა გათვალისწინებული

ერთი თვის განმავლობაში ოთხი ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში ორი დამატებითი ხანმოკლე პაემანი

დამოკიდებულია დაწესებულების რეჟიმზე: თვეში 1 - 4 ხანმოკლე პაემანი, დამატებით 1 - 2 ხანმოკლე პაემანი



ერთი წლის განმავლობაში ოთხი **ხანგრძლივი პაემანი**, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში ექვსი დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

დამოკიდებულია დანესებულების რეჟიმზე: თვეში 2 - 6 ხანგრძლივი პაემანი, დამატებით 1 - 3 ხანგრძლივი პაემანი

ერთი თვის განმავლობაში მინიმუმ ორი უფასო **სატელეფონო საუბარი**

არ არის მსგავსი ნორმა გათვალისწინებული

ერთი თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ხუთი **სატელეფონო საუბარი**, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი

დამოკიდებულია დანესებულების რეჟიმზე - ერთი თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით 1 - შეუზღუდავი სატელეფონო საუბრის უფლება

ერთი თვის განმავლობაში ოთხი **ვიდეოპაემანი**, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში ორი დამატებითი ვიდეოპაემანი

რაოდენობა არ არის დადგენილი

**წერილებისა და ამანათების შეუზღუდავად მიღება**

რაოდენობა არ არის დადგენილი

პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით სარგებლობის უფლება

დამოკიდებულია დანესებულების რეჟიმზე

წელიწადში სამჯერ თავისუფლების აღკვეთის დანესებულების გარეთ **ხანმოკლე გასვლის** უფლება

დამოკიდებულია დანესებულების რეჟიმზე 1-2 ხანმოკლე გასვლის უფლება





წახალისების ფორმები

<p>მადლობის გამოცხადება</p>	<p>გათვალისწინებულია ყველა რეჟიმის დაწესებულებისთვის</p>
<p>დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა</p>	<p>გათვალისწინებულია ყველა რეჟიმის დაწესებულებისთვის</p>
<p>დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა</p> <p>დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;</p> <p>დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;</p> <p>დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა;</p> <p>დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა</p>	<p>დამოკიდებულია დაწესებულების რეჟიმზე</p>
<p>ამანათით ან ფოსტით ისეთი ნივთების, ნივთიერებების ან/და ნაკეთობების მიღება, რომელთა ქონის უფლებაც მსჯავრდებულს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, ჩვეულებრივ, არ აქვს, მაგრამ რომლებიც აკრძალული არ არის</p>	<p>არ არის მსგავსი ნორმა გათვალისწინებული</p>
<p>კომპიუტერული თამაშების უფლების მიცემა</p>	<p>არ არის მსგავსი ნორმა გათვალისწინებული</p>
<p>აუდიო-ვიდეო საშუალებებით სარგებლობის უფლების მიცემა</p>	<p>არ არის მსგავსი ნორმა გათვალისწინებული</p>



### დისციპლინური სახდელის სახეები

გაფრთხილების მიცემა

საყვედურის გამოცხადება;

ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით;

დანესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით;

ამანათისა და გზავნილის მიღების უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით;

სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით;

საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 1 წლის განმავლობაში 6 თვემდე ვადით.

დამოკიდებულია დანესებულების რეჟიმზე: დისციპლინური სახდელის სახეებია:

- ა) გაფრთხილება;
- ბ) საყვედური;
- გ) მუშაობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- დ) ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- ე) ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- ვ) საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 6 თვემდე ვადით;
- ზ) სამართო საკანში მოთავსება 20 დღემდე ვადით.
- თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- კ) პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დანესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- ლ) ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- მ) კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ.



